# დროება

ყოველდღიური-საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 79 პარასკევი, 9 აპრილი 1910 წ. № 79

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ერთი საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოთი 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

§§§§§§§ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს კვირეული§§§§§§

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

* * * **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელის-მომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„დროების" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, редакція „Дроэба", И. С. Агладзе.



**კნეინა ნინო ივანეს ასული ერისთავისა** შვილებითურთ გულწრფელ მადლობას უძღვნის ნოვობაიაზეთის პოლკს და ყველა იმათ, ვინც

**თავ. გრიგოლ კონსტანტინეს ძის ერისთავის**

გარდაცვალების გამო, დეპეშით თუ პირადას დასწრებით ანუგეშა მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი. (1—231—1)



**მარიამ ესტატეს ასული მამაცაშვილისა, გაბრიელ ნიკოლოზის ძე და ბარბარე სვიმონის ასული მამაცაშვილებისა** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 10 აპრილს, ნაშუადღევის 12 ნახევარ საათზე, დიდუბის ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის პანაშვიდი პირველის—ძვირფას მეულის, მეორის და მესამის—საყვარელ მამიდის

**ნადეჟდა გაბრიელის ასულის განმიელის**

სულის მოსახსენებლად. (1—233—1)



## ქართული თეატრი

**პარასკევს, 9 სა ამა აპრილის,**

**წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

—გაიმართება—

## ლიტერატურული გასამართლება

„ღალატის" გმირებისა ზეინაბის და ოთარ-ბეგისა

(ზეინაბი ქ. ს. რომანიშვილისა, ოთარ-ბეგი—გ. გუნია).

**ბრალმდებლები არიან:** ბ-ნნი იოს. მაჭავარიანი და ვახ. ლამბაშიძე.

**დამცველები:** ბ-ნნი კ. აბაშიძე და გრ. რობაქიძე.

**მოსამართლენი:** ბ-ნნი იოს. ბარათაშვილი, გრ. დიასამიძე და ივ. ზურაბიშვილი.

**ნაფიცი მსაჯულები:** ბ-ნნი ივ. გომართელი, ილ. ზურაბიშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. ლასხიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. მგალობლიშვილი, ალ. ყანჩელი, ალ. ყიფშიძე, გრ. ყიფშიძე.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (4—4)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. ლ.:** შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 სა[illegible]

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—1[illegible]

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., [illegible] ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., [illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ხოხოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—152)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ჩ. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა,

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—315)



ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის

განცხადების მომკრეფი აგენტი

## მ. ა. გაჟონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით: (6—2) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ. № 40. ტელეფონი № 215.**



**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—44)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—15)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—43

**ექიმი შ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—68)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩრაია). (0—102

**ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—26)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—157)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდ[illegible]რონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—408)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—18

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.



## კავკასიის განყოფილება

**ქ.-შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებისა**

ამით აცხადებს, რომ მომავალ აგვისტოს თვიდან **კავკავის ქართულ სკოლაში თავისუფლდება მასწავლებლის ადგილი.**

ჯამაგირის რაოდენობა გადასწყდება აგვისტოს დამდეგში თხოვნები და საჭირო საბუთები უნდა გამოიგზავნოს კავკავში წ.-კ. გ. ს. განყოფილების გამგეობის სახელზე, ქართულ სკოლაში. (3—3)



## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—8)



## გ ა მ გ ე ო ბ ა

**ყვირილის სამარხ კასისა**

ამით აცნობებს პატივცემულ წევრთ, რომ განმეორებითი წლიური საზოგადო ჩვეულებრივი კრება ყვირილის სამარხ კასისა დანიშნულია 20 აპრილს ამა 1910 წ. ყვირილის სამოქალაქო სასწავლებელში, სანიკიანის სახლში, ნაცვლად პირველი კრებისა, რომელიც არ შესდგა 28 მარტს. (3—ნ.—1)



## ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ **„დროება"-ს კანტორაში:** დიდი ვანქის ქ., № 12. (0—9)



## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მიწის და წყლის მილის სამუშაოებზე და აგრეთვე მილების მისატანად რკინის გზის სადგურიდან სამუშაოს ადგილას დანიშნულია ამა აპრილის **22-სთვის,** შუადღის 12 საათზე.

ბეღ საჭიროა 500 მანეთი.

პირობების გასინჯვა შეიძლება წყლის მილის განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 3 საათამდე. (3—6—2)


## ქართული ენა და მშობლები

არა ერთი და ორი წერილი მოთავსებულა ჩვენი გაზეთების ფურცლებზე იმის შესახებ, რომ ჩვენს სასწავლებლებში ქართულ ენას უკანასკნელი ადგილი უჭირავს, რომ მაშინ, როდესაც სხვა ენებს (ფრანგულს, გერმანულს და სხვა) კვირაში რამდენიმე გაკვეთილი აქვთ დათმობილი, ქართულ ენას ძლივს უთმობენ ერთ ან ორ გაკვეთილს, ისიც უკანასკნელს. რაღა საკვირველი უნდა იყოს, რომ ასეთ ვიწრო ფარგალში მომწყვდეულმა ენის სწავლებამ ვერ შესძლოს შესაფერ ნაყოფის მოტანა. ამიტომ არის, რომ ის პოლიტიკა, რომლის წყალობითაც ასეა დევნილი ქართული ენა, ადვილად ისრულებს თავის გულის წადილს. მაგრამ ეს უბედურება როულდება და მწარდება იმით, რომ ამ საქმეში (ქართული ენის დევნაში) ხშირად თვითონ ჩვენ ნებსით თუ უნებლიეთ ვეხმარებით ჩვენ მტერ-მოყვარეებს.

არა იშვიათია, უფრო კი ჩვენ დიდ ქალაქებში, ქართველი (მარტო სახელით) ოჯახი, სადაც მშობლების უმთავრესი საზრუნავი ის არის, რომ მათმა შვილებმა დაბადებიდანვე შეისწავლონ რუსული ლაპარაკი. კაცი გაჰკვირდება, რომ შევიდეს ამისთანა ოჯახში. უყურებთ, ბავშვი ორი სამი წლისაა და დედა-კი უცხო ენაზე ელაპარაკება. როდესაც ერთს ამისთანა ოჯახის დიასახლისს შევეკითხე ამაზე, მიპასუხა: ქართულს, ბატონო, მერეც შეისწავლის; გაიზრდება, გავა გარეთ, ქართველ ბავშვებთან ითამაშებს და იქ ქართულ ლაპარაკსაც მიეჩვევა. ჯერ კი, ბატონო, საჭიროა, რუსული ლაპარაკი შევასწავლო, რადგან მერე უფრო გაუძნელდებაო.

ეს სიტყვები ნათლად ახასიათებს ზოგიერთ ქართველ (მარტო სახელით) მშობლების გვემას შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში. ამისთანა ოჯახებში აღზრდილი ბავშვები უფრო ადვილად და სიამოვნებით ეტანებიან სხვა და სხვა რუსულ სიმღერებს, ვიდრე ქართულს, სხვა და სხვა უცხო თამაშობას, მკაფიოდ გაძლევენ პასუხს რუსულ ენაზე, ლამაზათ სწერენ უცხო ენაზე. აბა ეხლა სთხოვე, იმღერონ რამე ქართულად, ითამაშონ ჩვენებურად, დასწერონ ქართულად. მაშინვე უარს მიიღებთ—დედას ან მამას არ უსწავლებიაო. რა თქმა უნდა, ჩვენ რუსულის ან სხვა ენის სწავლების წინააღმდეგნი ჯრა ვართ. მაგრამ ამას თავისი დრო აქვს და ქართველ ოჯახში ყოველთვის პირველობა ქართულს უნდა ჰქონდეს დათმობილი.

პატარაობიდანვე მოწამლულ და გადაგვარების გზაზე დამდგარ ამგვარ ოჯახში აღზრდილ ყმაწვილს სკოლაშიაც არ ეხერხება მეცადინეობა ქართულის შესასწავლად და ხშირად დროს დაკარგვათაც მიაჩნია ასეთი მეცადინეობა. ამისთანა ყმაწვილები ათავებენ საშუალო და ხშირად მაღალ სასწავლებელსაც და მაშინ, როდესაც მათ შესწავლილი აქვთ უცხო ლიტერატურა, უცხო ერის ძველის, საშუალო და ახალ საუკუნოების ცხოვრება, აქვთ შესწავლილი ფილოსოფია და სხვა და სხვა დარგი მეცნიერებისა, შეუძლიან იბაასონ მაღლა ცაზე და ძირს დედამიწაზე, ამათ ამავე დროს არ იციან არაფერი სამშობლო ქართულს მწერლობაზე, თავიანთ ხალხის წარსულ ცხოვრებაზე და აწმყო ვითარებაზე. არის ბევრი მათში, ხშირად მაღალ სასწავლებლის ფორმაში გამოწყობილიც კი, რომელმაც სრულებით არა იცის რა ქართულ ლიტერატურაზე.

აქედან ცხადია: როგორ უნდა უწოდოს კაცმა თავის თავს ქართველი, როდესაც ქართულისა არა აცხია რა; როგორ უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, როდესაც იგი თავის ხალხს ვერ იცნობს, როდესაც იმის ენაზე არ შეუძლიან ხეირიანად ლაპარაკი და თითქმის უბრალო წერილის დაწერაც კი ეძნელება ამ ენაზე. რის სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს თავის ქვეყანას, თავის მამულს, როდესაც მან არ იცის მისი იარეპი, რომლებიც საჭიროებენ განკურნებას, როდესაც არ იცის, რით სცხოვრობ-და საქართველო წარსულში, რა უდგამს სულს ეხლა, რა შეადგენს იმის მისწრაფების საგანს.

ამიტომ ბევრი მათგანი, რაც თავის თავად ცხადია, და არც გასაკვირველია, იცვლის გვარსაც, ზნესაც, ჩვეულებასაც და ქართულ ლაპარაკსაც თაკილობს.

აქ პირველი დამნაშავენი არიან ჩვენი ქართველი, რუსიციზმით მონათლული, მშობლები. ისინი არ უნერგავენ თავიანთ შვილებს სიყვარულს ხალხისადმი, არ ულვიძებენ თანაგრძნობას თავიანთ ერისა და ენისადმი. დროა მშობლებმა გამოიღვიძონ და მიჰხვდნენ, რა დიდ დანაშაულს სჩადიან თავიანთ ქვეყნის წინაშე, რა სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამისთანა საქციელით თავიანთ სახელს.

**ი. კახელი.**

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

### სათათბიროს და საბჭოს შეუთანხმებლობა

7 აპრილს სათათბირომ პირველად რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი განიხილა. სხვათა შორის ალექსეენკომ აცნობა სათათბიროს შედეგი შემათანხმებელ კომისიის მუშაობისა 1910 წლის ბიუჯეტის შესახებ. სათათბირომ, როგორც ვიცით, ბიუჯეტის განხილვა დაამთავრა და სახ. საბჭოს გადასცა. ბევრ რამეში შემათანხმებელმა კომისიამ ვერ შეათანხმა სათათბიროს და საბჭოს აზრები ბიუჯეტის შესახებ. სხვათა შორის სათათბირომ უარ-ჰყო სამინისტროს აზრი ახალ გემების ასაშენებლად 11 მილიონ მანეთის გადადების შესახებ. საბჭოს კი საჭიროდ უცვნია ამ ფულის გადადება. მომხსენებელმა ალექსეენკომ წინადადება მისცა სათათბიროს, მიიღოს წინანდელი თავისი გადაწყვეტილება, ესე იგი, კვლავ უარ-ჰყოს 11 მილ. მ. გადადება. დეპეშა არ გადმოგვცემს, მიიღო თუ არა სათათბირომ ეს აზრი.

შემდეგ სათათბირომ განიხილა რამდენიმე საქმე. სხვათა შორის მიიღო საკანონმდებლო წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქებში სახლის პატრონთათვის სავალდებულო იყოს იმ ხარჯში მონაწილეობის მიღება, რომელიც საჭიროა კანალიზაციისთვის.

### ყირგიზების ადგილების ჩამოჭრა.

ბოლოს სათათბირომ მოისმინა ახალი კანონ-პროექტები, რომელიც შეეხება თურქესტანის მხარეში ყირგიზების ადგილების ჩამოჭრას და იქ რუს გლეხების დასახლებას. ამ კანონ-პროექტმა კამათი გამოიწვია. ჩაეწერა სალაპარაკოდ 18 ორატორი. საქმე ის არის, რომ მთავრობა დიდი ხანია სცდილობს, თურქესტანში, როგორც ყველგან სხვაგან, გააძლიეროს რუსული ელემენტი. ამისათვის არაფერს არ ერიდება, აშკარად ართმევს ყირგიზებს ადგილებს და რუსებს ასახლებს. მთავრობას უნდა ეხლა ამ კანონ-პროექტით ასეთი საქციელი დაიკანონოს.

**ვოლკოვმა მეორემ** (კადეტი) მოიყვანა ცნობები სენატორის გრაფ პალენის რევიზიიდან და დაამტკიცა, რომ რუსების დასახლების საქმე თურქესტანში ცუდად არის დაყენებული. რუსების დასასახლებლად, სთქვა ორატორმა, მთავრობა აწიოკებს ყირგიზებს და ართმევს მათ მამაპაპეულ ადგილს. მთავრობა ისეთ გზას ადგია, რომელიც იწვევს ადგილობრივ მკვიდრთა სიძულვილს, ამიტომ კადეტები კანონ-პროექტის წინააღმდეგ მისცემენ ხმასაო.

ნაციონალისტებმა და მემარჯვენეებმა სუვჩინსკიმ, მღ. ტერეგუბოვმა, ეპ. ევლოგიმ განაცხადეს: რუსები უნდა გავაძლიეროთ თურქესტანში, ამისთვის ყირგიზებს მიწები უნდა ჩამოვართვათო. ტიმოშკინმა ისიც-კი სთქვა, რომ გრაფი პალენი სანდო კაცი არ არის, რადგან 1905 წელს ეს გრაფი ჩუმად გაიპარა ვილნოს გუბერნიიდან, სადაც იგი გუბერნატორად იყო.

**გრაფმა კაპნისტმა** ოქტომბრისტების სახელით სთქვა: პოლიტიკურ და ეკონომიურ მოსაზრებით დაუყონებლივ უნდა გავხსნათ თურქესტანი რუსების დასასახლებლად. ყირგიზებს მიწები უნდა ჩამოერთვათ, მაგრამ ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლებად იგრძნონ ეს ტკივილით.

**მაქსუდოვმა** (მაჰმადიანთა ფრაქცია) უკანონობად და ძალმომრეობად ჩასთვალა მთავრობის პოლიტიკა.

**ვოილოშნიკოვმა** ს.-დემოკრატების სახელით განაცხადა, რომ ფრაქცია წინააღმდეგია კანონ-პროექტისა, რადგან მთავრობა უკანონოდ სცდილობს თურქესტანში რუსების დასახლებას. ვიდრე მთავრობა არ წარმოადგენს გეგმას თურქესტანის დასახლების და მოწყობის შესახებ, ვიდრე სათათბიროში არ იქნებიან ყირგიზების წარმომადგენელნი, მხარს ვერ დაუჭერთ პროექტსაო.

მაჰმადიანთა ფრაქციამ და ტრუდოვიკებმაც განაცხადეს, რომ ჩვენ კანონ-პროექტის წინააღმდეგნი ვართ და ხმას არ მივცემთო.

ბოლოს სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი.

**ძირითად კანონების დარღვევა.**

სალამოს სხდომაზე სათათბირომ განაგრძო იმ შეკითხვის განხილვა, რომელიც ძირითად კანონების დარღვევას შეეხება. ილაპარაკა ნაციონალისტმა **ლვოვმა მეორემ**. რა თქმა უნდა, მან ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთში, სადაც მონარქისტული წყობილებაა, ხელმწიფეს შეუძლიან ძირითად კანონების შეცვლაო.

სათათბირომ ამ შეკითხვის გამო შეამცირა ორატორების რიცხვი. სიტყვას წარმოსთქვამს კიდევ ათი ორატორი.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აპრილი.

### საზღვარ-გარედ.

**სტამბოლი.** მთავრობამ ახალგაზრდა ოსმალთა საპარლამენტო ფრაქციასთან შეთანხმებით ენერგიული ზომები მიიღო, რომ გალატ-სარაის ლიცეიში გაფიცვა გათავდეს. გადააყენეს ლიცეის დირექტორი და ის პროფესსორები, რომლებმაც ლექციების კითხვა შესწყვიტეს. ლიცეის მოწაფეებს შეატყობინეს, რვა აპრილს უნდა შეუდგეთ სწავლასო. ვინც ამ დღეს არ გამოცხადდება, მას ლიცეიდან დაითხოვენ.

21 აპრილს ელიან 250 ჰუნგრელ ვაჭარს. ვაჭრები დაათვალიერებენ სატახტო ქალაქს. ჰუნგრეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ქალაქის შუაგულ ალაგას, პტიშანის ბაღში გახსნის ჰუნგრეთის საქონლის გამოფენას. გამოფენაზედ მსურველებს უფასოდ შეუშვებენ.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. 1909—10 წლის ბიუჯეტის შეტანის დროს ფინანსთა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: თუმცა ბიუჯეტის შედგენის დროს ნამდვილი დეფიციტი იყო 26,248,000 მანეთი, მაგრამ ჩვენ მიუმატეთ ზოგიერთ სახელმწიფო გადასახადებს და ამრიგად დეფიციტი თავიდან ავიცილეთ. ასე რომ ამ ჟამად შემოსავალი 29,000,000 მანეთით აღემატება გასავალს. ლორდთა პალატას შორშანდელი ბიუჯეტი რომ მიეღო, მაშინ 1909 წელს შემოსავალი 42,000,000 მანეთით აღემატებოდა გასავალს. ოთხი თვის განმავლობაში ინგლისის ფინანსები აწეწილ-დაწეწილი იყო. მიუხედავად ამისა მთავრობამ 30,000,000 მანეთი სახელმწიფო ვალში მისცა და ამრიგად ვალი შეამცირა და ამას გარდა საქმე ისე წაიყვანა, რომ შემოსავალი 29,000,000 მანეთით აღემატება გასავალს. ეს ზედმეტი ფული შეიძლება ვალის გასტუმრებას, ან სხვა რამეს მოხმარდეს. ლოიდ-ჯორჯის აზრით ვერც ერთი სახელმწიფო მიაღწევს ასეთ შედეგებს. სასაცილო იქნება იმის მტკიცება, ვითომ საფინანსო მეურნეობას, რომელიც დამყარებულია თავისუფალ ვაჭრობის საფუძველზე, ცუდი შედეგი მოეტანოს. არ არის არც ერთი საფინანსო სისტემა, რომელსაც შეეძლოს ასეთი მშვენიერი შედეგების მოტანაო.

**ბერლინი.** გერმანიის მრეწველთა ყველა კავშირებმა განაცხადეს, მუშებთან ბრძოლაში მხარს დაუჭერთ საამშენებლო მრეწველებს. კავშირების აზრით მუშათა ორგანიზაციების მოთხოვნები დღითი-დღე იზრდებიან და ამ მოვლენას მექარხნეებმა უნდა დაუპირდაპირონ თავიანთი სამართლიანი მოთხოვნები.

**პეკინი.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სამსახურს თავს ანებებს მთავარ საღამოჟნო გამგეობის მრჩეველი რობერტ ბრედონი (ინგლისელია). ბრედონი წინად საზღვაო დამოჟნების გამგე იყო და სულ ცოტა ხანია, რაც უკანასკნელ ადგილზედ დანიშნეს. ამბობენ, ბრედონი ინგლისელებმა აიძულეს, რომ სამსახური მიეტოვებინაო.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი.** ურმიიდან ჩამოსული ქრისტიანები ირწმუნებიან, ოსმალეთის სავაჭრო მამასახლისად ნამყოფი პეტრე ელლო სულდუზის ოლქის მართველად დაინიშნაო. მათი სიტყვით სელდუზის ოლქი ოსმალეთის პროვინციად უნდა გამოეცხადებინათ

სერაბიდან ეფრემას რაზმი სოფელ ნირში წავიდა. ნირში შეიკრიბებიან შაჰსევანების წარმომადგენლები და მოლაპარაკებას გამართავენ ეფრემასთან და ბახტიარების უფროსთან, სერდარ ბოგადურთან. ცნობები მოვიდა, შაჰსევანების თემებს უთანხმოება მოსდითო. თუ ეს მართალია, მაშინ მთავრობას გაუადვილდება შაჰსევანების დამშვიდება.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა ლემძინგტონი შეეკითხა ლორდ კრიუს, რა მდგომარეობაშია რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკება სპარსეთთან სესხის შესახებ და აღძრა საკითხი რა პოლიტიკას აწარმოებს ინგლისი სპარსეთშიო. ლორდმა კრიუმ ითხოვა, დაჟინებით ნუ მოითხოვთ პასუხის გაცემასა და სთქვა: მოლაპარაკება სესხის შესახებ შეჩერებულია, რადგან სპარსეთმა შესაძლებლად ვერ დაინახა მიეღო ის პირობები, რომლებიც ინგლის-რუსეთმა წარუდგინეს. ინგლისის მთავრობას მხოლოდ ერთად-ერთი მიზანი აქვს, მოუტანოს სიკეთე სპარსეთის მთავრობას და ხალხს, მაგრამ ეხლანდელ პირობებში საჭიროდ სთვლის სესხის მიცემის დროს დაიცვას წინად წარდგენილი პირობებიო. ლორდმა ლენსდოუნმა სთქვა: თუ მართლა მთავრობას სურს სიკეთე მიუტანოს სპარსეთის ხალხს და მთავრობას, რომელსაც უნდა წესიერება დაამყაროს სპარსეთში, მაშინ კრიუს უფლება აქვს სთხოვოს ლემძინგტონს, რომ ამ უკანასკნელმა დაჟინებით არ მოითხოვოს უფრო ვრცელი პასუხი. თუ კრიუს აზრით სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ საკითხი ვრცლად არ განიმარტოს, მაშინ ოპოზიცია თავს გაანებებს შეკითხვასო.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** რადგანაც ზოგიერთ გაზეთებში დაიბეჭდა, რომ ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტში სწავლა წესიერად არ სწარმოებსო, ამიტომ ინსტიტუტის დირექტორი აცხადებს. პირველ აპრილს ინსტიტუტის სადგომში კრება გამართა 270 სტუდენტმა. კრებამ შეუფერებელი რეზოლიუცია გამოიტანა დირექტორის და პროფესსორების შესახებ. ამას გარდა კრებამ სტუდენტებისადმი მოწოდება გამოუშვა და ურჩია გაფიცვა. პირველ აპრილიდანვე სტუდენტების უმრავლესობამ სწავლა შესწყვიტა. პირველ აპრილსავე სტუდენტების ერთი ჯგუფი შევიდა იმ ოთახში, სადაც რამდენიმე სტუდენტი ეგზამენს აბარებდა და მოითხოვა ეგზამენის შეწყვეტა, რაზედაც უარი მიიღეს. ამის შემდეგ სტუდენტებმა სასტიკად გაჰკიცხეს ის სტუდენტები, რომლებიც ეგზამენს აბარებდნენ. სტუდენტები ამას არ დასჯერდნენ და გალანძღეს პროფესსორი. პროფესორმა სტუდენტები სხვა ოთახში გამოსცადა. აქაც შეეცადნენ პროტესტის გამოცხადებას, მაგრამ ამაოდ. გაფიცვის მომხრე სტუდენტებმა შემდეგ ბოდიში მოითხოვეს პროფესსორის და გალანძღულ სტუდენტების წინაშე. ამის გამო დისციპლინალურმა სასამართლომ განიხილა იმ სტუდენტების საქმე, რომლებიც კრებაში მონაწილეობას იღებდნენ და დაადგინა ყველას შენიშვნა მისცესო.

**მოსკოვი.** სამოსამართლო პალატა შეუდგა 27 კაცის საქმის განხილვას. ბრალდებათ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წევრობა. ბრალდებულთა შორის არის ინგლისის ქვეშევრდომი ვატსონი. სასამართლოს სხდომებს ესწრობა ინგლისის კონსული.

**სმოლენსკი.** ოლქის სასამართლომ განიხილა 7 კაცის საქმე. ბრალდებოდათ ყალბი დოკუმენტებით რკინის გზის სადგურებიდან საქონლის გამოტანა. სასამართლომ სამი გაამართლა, ოთხს მიუსაჯა ექვსიდან რვა თვემდე სატუსაღო.

**კრონშტადტი.** სამხედრო-საზღვაო სასამართლომ განიხილა გენერალ-მაიორ მარკოვის საქმე. ბრალდებოდა სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა სასამართლომ მარკოვს მიუსაჯა 1 თვით ჰაუპტვახტზედ დაპატიმრება.

**ვარშავა.** ადგილობრივ ვაჭრების მაღაზიებში სენატორის რევიზიამ აღმოაჩინა საინტენდანტოდან გატანილი ნივთები.

**პეტერბურგი.** კონფისკაცია უყვეს „ნოვოე ვრემიას“ დღევანდელ ნომერს. რედაქტორი სამართალში მისცეს.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **შენიშვნა მასწავლებლებს.** ტფ. ქალაქის გამგეობამ ერთ თავის სხდომაზე განიხილა სასკოლო კომისიის დადგენილება. ეს დადგენილება შეეხება ქალაქის სკოლების მასწავლებლებს, რომელთაც დიდ მარხვის პირველ კვირას მოწაფენი დაითხოვეს სასკოლო კომისიის დაუკითხავად. გამგეობამ დაადგინა: გამოეცხადოთ სასტიკი შენიშვნა სკოლების გამგეთ: ქალანთაროვისას, ტიმოფეევისას, პაპიტაშვილს, ქ-ნ ტერმოსესოვისას, ჩიჟავაძისას, იუზბაშევისას, ამირალიანისას, ასათიანისას, შანშიევისას, ყანდაუროვისას, წერეთლისას, ლორთქიფანიძისას, ხერასკოვისას, ჩიქოვანისას, კაპანაკოვისას, ქალანთაროვისას და ფირუმიანისას; ეს გარემოება აღინიშნოს მასწავლებელთა სამსახურის ფორმულიარებში. რაც შეეხება სასკოლო კომისიის დადგენილებას ჯამაგირებიდან ფულის გამორიცხვის შესახებ, გამგეობამ თუმცა სამართლიანად სცნო 6 დღის გაცდენისათვის ჯამაგირის დაკლება, მაგრამ რადგან ეს დასჯა იქნება გამგეთა ნათესავებისა და შვილებისაო, ამიტომ დაადგინა, სთხოვოს კომისიას, ეს მუხლი ხელ-ახლა გადაათვალიეროს.

◆ **ექიმის ადგილები.** ტფილისში იხსნება ოთხი ადგილი ექიმის ქალაქის თვითმმართველობის სამსახურში. სამი ადგილი სასანიტარო ექიმისაა (ჯამაგირი 125 მან. თვეში). და ერთიც ორდინატორისა ქალაქის საავადმყოფოში (ჯამაგირი 60 მ. თვეში). როგორც გადმოგვცემს, მთხოვნელი ბევრია, მათ შორის არიან ქართველებიც.

◆ **კუსტინოვიჩი.** როგორც „ნ. რ“. გადმოგვცემს, კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანებით, მასწავლებელს კუსტინოვიჩს, რომელმაც ცნობილი სისაძაგლე ჩაიდინა ქუთაისის გიმნაზიაში, შენიშვნა გამოეცხადა.

◆ **რეფერატი.** დღეს საღამოთი კავ. იურიდიულ საზოგადოებაში პეტრე კიზირია წაიკითხავს რეფერატს.

◆ **პოლიციელები სამართალში.** ნამესტნიკის თანაშემწის ბრძანებით სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენისთვის სამართალში მისცეს დერბენტის პოლიცმეისტერი სოფრონოვი და დერბენტისავე ბოქაულის თანაშემწე ვარინსკი.

◆ **აგრონომების კრება.** ამ თვეში ტფილისში მოხდება კავკასიელ აგრონომებისა და სასოფლო მეურნეობის სპეციალისტთა კრება. კრებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამა მოქმედებისა მომავალი წლისთვის.

◆ **ახალი გაზეთები.** ამ ცოტა ხანში ტფილისში გამოვა ორი ყოველ კვირეული გაზეთი: ქართულად „მოგზაური“ და სომხურად „ოვიტ“ (ველი).

◆ **რევიზია.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, გამგეობის წევრი ლ. ბოცვაძე ამ დღეებში მიდის საგურამოს სკოლის სარევიზიოდ.

◆ **ექსკურსია.** ინტელიგენტთა პატარა ჯგუფი, რომელიც კვირას საექსკურსიოდ იყო მცხეთაში, 19 აპრილს კვლავ აპირობს გორისა და უფლის-ციხეში გამგზავრებას ბ-ნ მოსე ჯანაშვილის ხელმძღვანელობით. მსურველს შეუძლიან ჩაეწეროს წ.-კ. საზოგადოებაში ბ-ნ ი. ავალიშვილთან. დაწვრილებითი ცნობები შემდეგ გამოცხადდება.

◆ **ექსკურსანტების დაბრუნება.** ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეებმა, ტფილისში საექსკურსიოდ ჩამოსულებმა, დაათვალიერეს ქალაქის შესანიშნავი ადგილები და დღეს, 9 აპრილს, დაბრუნდებიან ქუთაისში.

◆ **გაჩხრეკა.** კრასნოგორსკის ქუჩაზე გაჩხრიკეს სომეხთა მწერლისა და მასწავლებლის სოლოვიანი ბინა. დააპატიმრეს მისი ქალი და ვაჟი.

◆ **ქალაქის შესავალ-გასავლის აღრიცხვა.** ოთხშაბათს, 7 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა ქალაქის საქმეთა საკრებულოსი. სხდომას, საკრებულოს წევრთა გარდა, დაესწრნენ ქალაქის თავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი, გამგეობის წევრი ნ. პ. კოკჩაევი, გამგეობის უფროსი ბუღალტერი დანდუროვი და ხვანი. საკრებულო შეუდგა ტფილისის 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვას. ამ დღეს საკრებულომ მთელი სხდომა მოანდომა შემოსავლის აღრიცხვის განხილვას. ყოველს შენიშვნებზე განმარტებებს აძლევდნენ ქალაქის წარმომადგენელნი. ხარჯთ-აღრიცხვა საკრებულომ განიხილა გუშინ,

---

# ბედის ვარსკვლავი

(დასასრული *)

17.

ვაჟის გრძნობა ხომ აღორძინებული იყო, მთლად აღზრდილი და ფრთაშესხმული. ის ველარ ეტეოდა ჭაბუკის გულში, მძლავრად ქანობდა აღელვებული, რომ გიჟურად გადმოეხეთქნა ნაპირები და წამოგრაგნილიყო ღვარად ძლიერად. ბესიკი მედგრად ებრძოდა ამ გრძნობათა სავსებას, თავს იმაგრებდა: შიშობდა იგი, რომ ვერ მიუხვდებოდა ბედის ვარსკვლავი და ჩაქრებოდა მისთვის შემკრთალი, მიეფარებოდა იმის თვალთა ხედვიდან, დასტოვებდა მას ბნელში გარესკნელში და მოსპობდა იმის არსებობას.

მიდიოდა დრო დაუდგრომლად, შეუყოვნებლად, შეუფერხებლად. ვინ შეატბორებდა იმის დიდებულ მსვლელობას, ვინ შეაგუბებდა?! ვინ შეაყენებდა ქვეყანას საუკუნო ლტოლვაში ან სამყაროს მის დიდებულ ბრუნვაში?! აღარ იყო ისუ ნავინი და ვინღა შეჰმედავდა შეემართა მნათობთათვის: „შესდეგ, მზევ და ნუ იძვრი, მთვარევ!“ მიდიოდა დრო და უახლოვდებოდა ჭაბუკს ჟამი მძიმე, ბნელი. განუჭვრეტელი, საზარელი, როდესაც ის უნდა განშორებოდა თავის შუქურს. ის მხოლოდ ერთი კრთიილი იყო, მტვერი რამ შეუმჩნეველი უზარმაზარ ჩარხზე ცხოვრებისა, ხოლო ცხოვრების ბორბალი მძლავრად ეზიდებოდა სხვა მხარეს. ძლიერად ეწეოდა ჭაბუკს სხვა მხარეს უგრძნობელი და დაუნდობელი ცხოვრება; როდი ფიქრობდა ის, რომ ჭაბუკის გული ჩაჰქნებოდა მზის სხივს მოშორებული. ბესიკი ძრწოლით უმზერდა დინჯად და შეურყევლად მომავალს ჟამს შავს, მძიმეს, და ულმობელი მომავალი გულს აწვებოდა ნელნელა უზარმაზარ ლოდად.

„გულს გამისრესს განშორების სიმძიმე, ვერ წაგალ! მაგრამ რა ვქმნა სხვა გზა დახშულმა?—გმინავდა ჭაბუკი.—უთხარ, შეჰბედე, შეჰმართე, შეჰვედრე ანუ მოგცეს განკურნება, ანუ მიწა შენ სამარი. შეჰბედე და იგი ან გაცოცხლებს ღვთაებურის ბედნიერებით, ან ამოგწვდის გულს და დარჩები მანქანა ცივი, უგრძნობელი; ივლი უაზროდ დედამიწის ზურგზე, მანამ დაუკმაყოფილებელი უაზროდვე არ მიეფარები ცხოვრებას მეჯლიშიდან“,—ჩასჩურჩულებდა ბესიკს ხმა იდუმალი.

ჭაბუკის გულს სწვდებოდა ეს ხმა საიდუმლო და სიამით უსმენდა მას იგი. ბევრჯელ სცადა ბესიკმა გაებედა შუქურისათვის მართალი, გაეცხადებინა მისთვის დაფარული, მაგრამ ქალის წინ კრთებოდა ჭაბუკი შიშით მოცული, ალექვებოდა ენა მისი სასასა მისსა და სდუმდა ბედკრული. დრო კი მიდიოდა შეუბრკოლებლად და ცივი წყვდიადი საზარლად უახლოვდებოდა ჭაბუკს და კვნესოდა მისი გული მომავალ სიმძიმის ქვეშ.

მთლად შეიპყრო ბესიკის გონება ამ საგონებელმა, განშორდა თანდითან ჭაბუკის აზრს და გრძნობას ყველაფერი, რაც არსებობდა იმის გარემო: დედ-მამა, ნათესავები, ნაცნობები თუ მეგობრები, ხალხი, ერი, ცხოვრების ვარამი ან სიხარული, ცა თუ ქვეყანა შორს გადგა მისგან, განზე გაიწია, უჩინარ იქმნა. ყოველივე არსის ხმა და გულის ძგერა შორიდან ღა მოესმოდა ჭაბუკს ყრუთ, განურჩეველ-განურკვევლად. დაშორებული სახე ყოველივე არსისა ძლივს ღა მოჩანდა ბურუსით მოცული, არსის კვნესა თუ ხარხარი ოდნავ ღა მოისმოდა შორეულ სივრციდან. მხოლოდ ღა ედგა ბესიკს გონების თვალ წინ, იმის ბრწყინვალე სახეს დაეჩრდილა ყმაწვილისთვის ყოველივე, როგორც ბრწყინვალე მზეს ვარსკვლავთა გუნდი. აწ შუქური ღა იყო მისთვის არსი მხოლო, უცვალებელი, ნათელი მხიარული, ნეტარება დაუსრულებელი, მშვენება გამოუთქმელი; მას უგალობდა ბესიკის გული, მას ადიდებდა მისი გონება, მისკენ მიიქცეოდნენ სურვილნი მისნი; თაყვანსა სცემდა ბესიკი მას, ღვთაებას მხოლოს და განუყოფელს.

მიდიოდა დრო და ახლოვდებოდა წყვდიადი განშორებისა შეუმართებელი და უხუთავდა მას სუნთქვას. ეხლა უკვე ცხადად გამოსჩანდა ჭაბუკის თვალებში სევდა მძიმე, იგი სევდა აღბეჭდილიყო მის სახეზე, განხორციელებულიყო და საცნაურ ქმნილიყო მთელ მის არსებაში.

ამჩნევდა შუქური ამ გამოუთქმელ სევდას, ცხადად ხედავდა იმის მიზეზს და იტანჯებოდა თითონაც: მისი გულის კარი განიხვა ჭაბუკისადმი სიბრალულისათვის. იცოდა შუქურმა, რომ მისი ერთი ღიმილი შესცვლის ბესიკის სიმძიმილს სიხარულად, განაბნევს მის სევდას და განაქარვებს მას, როგორც სხივი მზისა წყვდიადს განუჭვრეტელს, და ჰყვედრიდა თავის თავს, რომ გულქვავი იყო იგი და შეუბრალებელი.

18.

მიდიოდა დრო დაუდგრომელი. მიიწურა ზაფხული. ამოჩნდა ხომლი ცის კამარაზე, კიდეც შეიმალა ცაზე ამ ვარსკვლავთა გუნდმა და სიგრილე საგრძნობელი შეიქმნა ღამღამე. უფრო კი გატკბა მილეული ზაფხული, ხალხი მას უფრო მეტად აფასებდა ეხლა, როდესაც ხელიდან ეცლებოდა იგი და ხარბად სარგებლობდა იმის უკანასკნელ სითბო-სინათლით. შეჰკუნებული მზეც ჯერ კიდევ გულს არ იტეხდა, ღონეს იკრებდა და უბრძოლველად არ უთმობდა ასპარეზს შორით მომავალ სუსხს. მთვარეს კი სრულებითაც არ აწუხებდა მზის სხივის გახუნება ბეჩავ ქვეყანაზე, ის თავს იმშვენებდა, ივსებოდა, იბადებოდა და თვის ვერცხლებრივ სხივებს დაუშურებლად აფენდა შავ დედა-მიწას: უსასყიდლოდ მიეღო ნათელი მშვენიერი, უსასყიდლოდვე აწვდიდა მას ჩაბნელებულ ქვეყანას, რომ მასაც გაჰნათებოდა გული და გაღაღებიყო.

მთვარის სხივებით განათებულ ველზე გამოეჟინებულიყო ახალგაზრდობა და ოცნებობდა სიყვარულზე, სიკეთეზე, სიმშვენიერეზე. შეჰღიმოდა ახალგაზრდობა მთვარეს, შეჰღიღინებდა, შეჰხაროდა მას და დასცურავდა ცხოვრების ზღვაზე ოცნების ნავით. აქვე იყო შუქური, მთვარის სხივით განათებული მნათობი ძვირფასი. გვერდს [illegible] ხოლო თითონ მოშორებით მოსჯდომოდა მოკრძალებული. შეჰყურებდა ბესიკი ქალს აღტაცებით და ვერა ჰბედავდა ეთქვა სათქმელი, რადგან ეგონა იგი სიტყვა შეარყევდა ამ ჟამს მის ნეტარებას. ქალის გულიც გაეთბო ჭაბუკის აღტაცებულ სიყვარულს და მისკენ მიექცია აზრები და გულის თქმა. ქალი ფიქრობდა ახალგაზრდაზე, იმან წარმოიდგინა ის დრო, როდესაც ორივენი სასწავლებელში დადიოდნენ და ქალს შეხვედრაზე ყოველთვის განცვიფრებით შეჰყურებდა პატარა, სანამ თვალიდგან მიეფარებოდა.

— ბესიკ! მე მახსოვს, როდესაც თქვენ დადიოდით აქაურ სასწავლებელში. შემხვდებოდით თუ არა, შეჩერდებოდით და მიყურებდით გაკვირვებული. ბოლოს ისე შევეჩვიე თქვენთან ერთსა და იმავე ადგილას შეხვედრას, რომ თუ ვერ გნახავდით, თითქო თვალში მაკლდა რამე,—გამოეხმაურა ქალი.

ჭაბუკის შეგუბებულ გრძნობას ეს საბაბი ღა აკლდა, რომ გადმოეხეთქა კიდეები და გადმოდენილიყო ღვარად წამრღვნელად. დაიწყო ჭაბუკმა აღელვებულის ხმით და მოუთხრა დაწვრილებით, რა ძალა ჰპოვა მან შუქურში იმთავითვე, ძალა მიზნის მიმცემი, გზის გამკაფავი რომ მხოლოდ შუქურის ნათელი სახე უძღოდა ბავშვობიდანვე წინ ცხოვრების ძნელ გზაზე და მისი შემწეობით გაიკვლია გზა, სძლია ყოველსავე დაბრკოლებას; რომ იგი [illegible] ხორცი და მოევლინა უძლეველ სიყვარულად.

— მიყვარხარ, სულისდგმა ხარ ჩემი და აზრი ჩემის სიცოცხლისა.— წამოსთქვა ჭაბუკმა და გაჩუმდა უეცრად თავისისავე სიტყვებით შემკრთალი და ათრთოლებული.

სდუმდა შუქური, დაეხარნა წამწამი ძირს და სდუმდა. ჭაბუკის სიყვარულს ცეცხლი დაეგზნო ქალის გულში და იმის მკერდს აღელვებდა გრძნობათა ტალღა. ეხლა შუქური ხედავდა თვის გვერდზე მხოლოდ მოყვარულ არსებას, ქმნილებას სრულს, ღირსს სიყვარულისას. ეხლა იმაზე აღარა ფიქრობდა, ვინ იყო თითონ და ვინ იყო ბესიკი, რომელი წრისა, წოდებისა თუ მოდგმისა. ამ წამს ბესიკიც ისეთი ბუნების შვილი იყო, როგორიც შუქური და ორივენი შეპყრობილნი იყვნენ ბუნების უძლიერესის ძალით, რომელიც განხორციელებულიყო მათში და განუყრელად აკავშირებდა მათ, ჰქმნიდა მათ ერთ ხორც და ერთ სულ. ქალი აწ აღარა ფიქრობდა, მხოლოდ გრძნობდა ნეტარებას მომხიბლველს, და სდუმდა.

აღელვებულმა ჭაბუკმა ველარ შეიმაგრა თავი, და შეუგნებლად მო-

*) იხ. „დროება“ N 77.

[illegible]

**გიორგი საავაძის სურათი.** [illegible]

…

## ქუთაისი

**სიურპ. ნდობის საზოგადოების კრება.** ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრება 25 აპრილისთვის გადადო. [illegible]

**სახელმ. ბანკის განყოფილება ქუთაისში.** [illegible]

…

## მოწერილი ამბავი

**ზემო ქართლი.** 5 აპრილს გომის [illegible]

…

**გორი.** [illegible]

…

**ს. ღები** (რაჭა). 19 მარტს [illegible]

…

## თეატრი და ხელოვნება

**ლიტერატურული გასამართლება.** მოგვარებენ მკითხველებს, რომ დღეს, 9 აპრილს, ქართულ თეატრში გასამართლება „ლელასი“ [illegible]

…

## სპარსეთი

[illegible]

…

## ოსმალეთი

[illegible]

…

## ფორეინი აღმოსავლეთი

[illegible]

…

## უცხოეთი

[illegible]

…

19.

[illegible]

გაიფიცებიან, მათ მაგიერად შურს ჯარისკაცებს გამოაცხობინებენ. ტულონიდან 108 მეზღვაური მიიყვანეს მიტოვებულ გემებზე სამსახურისთვის. მათგან შვიდმა კაცმა უარი სთქვა სამსახურზე და საზღვაო სასამართლომ მათ მიუსაჯა 6 დღით დაპატიმრება თითოს. ჯერ-ჯერობით ესენი არ დაუტუსაღებიათ, საზღვაო სასამართლოს კარებს საქმის გარჩევის დროს სამპირად გამწკრივებული ჯარი იცავდა. ეშინიათ, რომ სხვა ნავთსადგურებში არ მოხდეს უწესობა, პარიზის „შრომის საყოველთაო კონფედერაციამ“ გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ მის აგენტებს მოლაპარაკება ჰქონდათ სხვა ქალაქების მეზღვაურებთან, რომ იქაური მეზღვაურებიც „თანაუგრძნობენ მარსელელ მეზღვაურებს და მხოლოდ ბძანებას ელიან, რომ გაფიცვა მოახდინონ.

# რუსეთი

✦ **რევიზიის შედეგი.** „რუსკ. სლოვო“-ს კიევიდან დეპეშით ატყობინებენ: საგუბერნიო მართველობის რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ მმართველობასთან არსებულა განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც ქრთამებს იღებდა და მსურველებს ადგილებზე აყენებდა. ორგანიზაცია უმთავრესად საპოლიციო მოხელეებში მოქმედებდა. გაჩხრეკის დროს წაიღეს მიწერ-მოწერა და ადგილზე დაყენებულ მოხელეთა მიერ მიცემული კექსილები. დააპატიმრეს რამდენიმე მოხელე.

✦ **ცირკულიარი.** სინოდის ობერ პროკურორს ლუკიანოვს სასულიერო სემინარიების რექტორებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია. ობერ-პროკურორი სთხოვს რექტორებს შეატყობინონ, მოწაფეებში რევოლიუციონური მოძრაობა ხომ აღარ არისო. რექტორები მოვალენი არიან შეატყობინონ ობერ-პროკურორს მოწაფეების ყველა ის მოქმედება, რომელსაც რევოლიუციონური ხასიათი აქვს.

✦ **უფროსის ბრძანება.** ამას წინად კოკანდში დუქნებს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის ჩასაქრობად გამოიწვიეს სალდათები, რომლებიც თავ-გამოდებით მუშაობდნენ და რამდენიმე კაცი სიკვდილს გადაარჩინეს. ამის გამო კოკანდის ჯარის უფროს ბრძანება გამოუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: „გულს ახარებს, როდესაც ვხედავთ, რომ რუსის სალდათი სიკვდილს არჩენს ადგილობრივ მცხოვრებლებსაც კიო? (Даже туземцевъ). როგორ მოგწონთ ეს „ადგილობრივ“ მცხოვრებლების გადარჩენაც კი“?!!

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვს: პეტერბურგში 2, სიმფეროპოლში 2, ხარკოვში 1, მოსკოვში 3, კიევში 1, ოდესაში 4 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: უფაში 2, ვარშავაში 1, მოსკოვში 3, პეტერბურგში 2, სიმფეროპოლში 2 კაცი.

✦ **პურიშკევიჩი.** სატახტო ქალაქის გაზეთები შემდეგ ამბავს გადმოგვცემენ: ამ დღეებში პურიშკევიჩმა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშაში ნათქვამია: „რა სასჯელი მიაყენეთ იმ სტუდენტებს, რომლებმაც ასისტენტ პერედოლსკის ანტროპომეტრიულ კაბინეტში სულ ერთიანად გაატიტვლეს კურსისტკა და ისე გაზომეს. პერედოლსკიმ საერო განათლების მინისტრს შეატყობინა, სტუდენტებმა ბოიკოტი გამომიცხადესო. რექტორმა დასაჯა თუ არა ის სტუდენტები, რომლებმაც უნივერსიტეტი საროსკიპო სახლად გადააქციესო“. სტუდენტები ძალიან აღელვებია პურიშკევიჩის დეპეშას.

✦ **ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში.** 6 აპრილს პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის 700 სტუდენტს კრება გაუმართავს. კრებას თანაგრძნობა გამოუცხადებია დათხოვნილ სტუდენტებისათვის. ამას გარდა კრებას დაუდგენია ხელისმოწერა გამართოს და შეგროვილი ფულით ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტიდან დათხოვნილ სტუდენტებს დაეხმარონ, რომ მათ სწავლა საზღვარ-გარედ დაამთავრონ.

✦ **მემარჯვენეების ახალი კანონ-პროექტი.** „იუჟ. კრაის“ სიტყვით მემარჯვენეები ამ მოკლე ხანში სახელმწიფო სათათბიროში შეიტანენ კანონპროექტს. კანონპროექტით უნდა შეიზღუდოს ებრაელების უფლება. ებრაელებს უნდა აეკრძალოთ საშუალო და უმაღლეს სწავლა-განათლების მიღება, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორობა, ვაჭრობა, ჯარსა და ერობაში სამსახური და უძრავ ქონების შეძენა.

✦ **ვოსტორგოვი.** დეპეშიდან უკვე ვიცით, რომ ჩვენი კარგად ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი მონასტრების დასაარსებლად ციმბირში გაგზავნეს. ვოსტორგოვი დაათვალიერებს რუსთა სოფლებს და სადაც საჭიროდ დაინახავს მონასტრებს დაარსებს. ამის გამო ვოსტორგოვი უპირველეს ყოველისა დაივლის რუსეთის მონასტრებს და აქ გამოძებნის იმ ბერებს, რომლებიც მოისურვებენ ციმბირში ახლად გახსნილ მონასტრებში მუშაობას. საინტერესო ის არის, რომ ვოსტორგოვი ციმბირში მონასტრების დასაარსებლად გაგზავნა სტოლიპინმა. საქმე ამნაირად ყოფილა: ვოსტორგოვს პრემიერ-მინისტრ სტოლიპინისთვის წარუდგენია მოხსენება: „ციმბირში მონასტრების საშუალებით კულტურის გავრცელება“. ერთ მშვენიერ დღეს სინოდის ობერ-პროკურორს სინოდისთვის მოუხსენებია, სტოლიპინს უნდა, რომ ვოსტორგოვი ციმბირში წავიდეს და მონასტრები დაარსოსო. სინოდს ცოტა არ იყოს სწყენია, რომ ვოსტორგოვს პირველად სტოლიპინისთვის მიუმართავს და არა სინოდისთვის, მაგრამ მაინც თანხმობა განუცხადებია.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში ამ მოკლე წერილს. ხონის ქალთა კერძო გიმნაზიის კომიტეტი ღრმა პატივისცემას უცხადებს და გულითად მადლობას სწირავს ქ-ნ ანასტასია ივანეს ასულს მამალაძისას, რომელმაც იკისრა მძიმე ტვირთი და მიმდინარე წლის 27 თებერვალს დ. ხონში გამართა „ბალ-მასკარადი“ ამავე სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. შემოსული ფული—149 მ. და 38 კ. მივიღეთ და უკვე მოხმარდა სასწავლებელს დანიშნულების თანახმად. მადლობას ვწირავთ აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც სიტყვით თუ საქმით დახმარება გაუწიეს ბ. ანასტასია ივანეს ასულს ამ კეთილ საქმეში და მთელ საზოგადოებას, რომელიც თანაგრძნობით მოეკიდა სწავლა-აღზრდის საქმეს და მისთვის თავისი წვლილი არ დაიშურა.

ხაზინადარი მღ. სპირიდონ გორდულაძე.

# განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—81)

**ბებია** ქალი სოფიო ილიას ასული გელბორდტ-ლოკიში რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი განქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—4).

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ბორჯ**ომის ცენტრის მახლობლად, სასახლის პარკის გვერდზე,

**იაფად იყიდება მიწის ნაჭერი,**

ყოფილი უგანათლებულეს თავადის **ვორონცოვისა**, ზომით 15,000 ოთხკ. საჟენი. შესამჩნევი ნაწილი ადგილისა უჭირავს პარკსა და ხე-ხილის ბაღს.

ცნობების გაგება 12 აპრილამდე ტფილისში სასახლის ქ., „ვიქტორიას“ სასტუმროში კ. ე. გრიგორიევთან, ხოლო შემდეგ იალტაში, თავ. ტრუბეცკოების კანტორაში, ვინოგრადნის ქ., ს. ბუხშტაბისა. მიწის ნაჭრის დასათვალიერებლად ადგილობრივ დარაჯია. (5—1049—2)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მცხიარულე ავადმყოფთათვის. განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—31)

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში**

# იყიდება

| | | |
|---|---|---|
| 1. | ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები | 25 კ. |
| 2. | ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები | 10 „ |
| 3. | ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი | 25 „ |
| 4. | ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია | 35 „ |
| 5. | აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული | 40 „ |
| 6. | აკაკი. თორნიკე ერისთავი | 35 „ |
| 7. | აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით | 50 „ |
| 8. | აკაკი. ქუთათლის სიზმარი | 5 „ |
| 9. | აკაკი. ნაცარქექია | 10 „ |
| 10. | აკაკი. გოგია მეჩანგურე | 5 „ |
| 11. | ნ. ბარათაშვილი. ლექსები | 5 „ |
| 12. | ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი | 5 „ |
| 13. | ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა | 5 „ |
| 14. | ა. ყაზბეგი. ელისო | 10 „ |
| 15. | ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები | 50 „ |
| 16. | კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. ნ. ს. | 40 „ |
| 17. | ნ. მარრი история грузіи | 25 „ |
| 18. | ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება | 15 „ |
| 19. | ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია | 40 „ |
| 20. | ი. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია | 60 „ |

**და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.**

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

**„ნაკადული“**

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახოები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

# ქუთაისში

◀ კიწმარაშვილის და ამხ. ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—23)

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

# მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს რჩეულ მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.


# კალენდარი

**აპრილი 30 დღე**

ახალი სტ. 22 აპრილი

# 9

მთვარე 13 დღისა.

99 დღე წლის თავიდან. რჩება 266 დღე.

# პარასკევი

მე-40 დღე დიდ-მარხვისა.

**ქართვ.** წმ. მოწ. ევფსისისა, მერაბისა, ავდიასი და სხვ.

**კათოლ.** წმ. მარიამ ეგვიპტელისა.

**სომეხ.** მე-40 დღე დიდ-მარხვისა.

**მაჰმად.** ჯუმა 11 რ. რებიულ-ახირისა 1328 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშიშ 13 რ. ნირანისა 5670 წ.


# ექებენ მებუფეტეს,

ვისაც სურს აიღოს პირველი კლასის კაფე-ბუფეტი, მომზადებულ 5 თვალ-შენობაში ყოველ მოწყობილობით და ელექტრონის განათებით, ახლად გასახსნელ ფეხ საცურავ ტრეკზე „სკეტინგ-რინკი“. პასტეროვის ქუჩა, № 4 (მიხაილოვის პროსპექტიდან ან ველიკოკნიაზის ქუჩიდან). (3—229—1)

# შემთხვევით იყიდება

ძალიან იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობებს გაგება შეიძლება იქვე.

თევზის საჭერი

# ზ. ზ. დავიდოვისა

(ყოფილი ქამოევისა)

რომელიც მოთავსებულია თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის ბაღის პირდაპირ, ამით აცხადებს პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ 7-დან ვიდრე 12 აპრილამდე გაიყიდება

● **წვრილი ქართული ზურგიელი** ●

**გირვანქა ერთ აბაზად**

მაღაზიაში არის გასასყიდად ზურგიელები თითო ცალი ოთხი გირვანქა და მეტი. (4—227—3)

◀ **სრული პასუხის მგებლობა** ▶

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

# „ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—**შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა,** აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით სუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

**პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

◀ **სრული პასუხის მგებლობა** ▶ (25—ნ.—17)

# აბანო

ვერის დაღმართზე სახლი № 7.

აბანოში მშვენივრად მოწყობილი ნომრებია და ორი საერთო აუზი—ერთი ქალებისა და ერთი ვაჟებისათვის.

აბანო ღია არის დილის 6 საათ. 12 საათამდის.

(5—გაჟ.—1) **პატივისცემით ზ. ი. აბრამაშვილი.**

# მთავარი მოგებანი:

◀ **75,000, 40,000, 20,000, 15,000, 10,000 და სხვა** ▶

მთავრობის ფულის ლატარია, რომელიც ხუთ-კლასად არის გაყოფილი და მოხდება ვარშავის სახელმწიფო ბანკში.

**ლატარიის გამგეობა პირდაპირ** კერძო პირებზე ბილეთებს არა ჰყიდის, ბილეთებს ჰყიდიან რწმუნებული კოლექტორები. ფოსტის ხარჯი და სატირაჟო ცხრილების დაგზავნა საბანკირო სახლის ხარჯით.

მოგება იძლევა დაუყოვნებლივ ბილეთის წარდგენის დღეს.

**ტირაჟი მოგებათა:**

4 კლ. 26 და 27 აპრილს 1910 წ.

5 კლ. 29 მაისიდან 10 ივნისამდე.

**ფასები მე-4 კლასში მონაწილეობისთვის:** (მეხუთე კლასის მოგებაში მონაწილეობის მიუღებლად)

ა) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოკლებით: მთელი ბილეთი 8 მანეთი, ½ ბილეთი 4 მანეთი, მეოთხედი ბილეთი 2 მანეთი.

ბ) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოუკლებლივ: მთელი ბილეთი 12 მანეთი, ½ ბილეთი 6 მანეთი, ¼ ბილეთი 3 მან.

1/10 ნაწილი ათ მთელ ბილეთში 12 მან. — „

1/20 „ „ „ . . . . 6 მან. — „

**ფასები 3, 4 და 5 კლასზე:**

1/5 ნაწილი ბილ. 18 მან. — კ.

1/10 „ „ 10 მან. — „

1/20 „ „ 4 მან. 50 „

შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ნახევარი შეკვ. დროს, ნახევ. აპრილში.

# Л. В. ЛАНДАУ и Ко.

საბანკირო სახლი Варшава, Братская 18.

ადრესი დეპეშებისთვის: „Варшава Ландаубанкъ“

(Д. и Э. Мецль и Ко. N 25,824). 4—ნ.—3)

სააქციონერო საზოგადოება

# „გრამოფონი“

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., ტელეფონი № 69.



**არის მრავალი მოლაპარაკე მაშინა,** მაგრამ ნამდვილი ამათგანი მხოლოდ **გრამოფონებია** ჩვენი საქარხნო ნიშნებით: „**მწერალი ანგელოზი**“ და „**ხმა პატრონისა**“. ამ გრამოფონებს ჩვენ ვუწევთ ყველას, როგორც საუკეთესო საჩუქარს **სააღდგომო დღესასწაულებისთვის.**

**ახალი ამბავი:** საუკეთესო აპარატები **65 მან.** და უფრო ძვირი.

მრავალი ფირფიტა შალიაპინის, სობინოვის, კარუზოს, ტეტრაცინის, შუვალოვას, ვავიჩის, მანახოვის, სევერსკის ხმებით, აგრეთვე მრავლად არის ფირფიტები **კავკასიელ მომღერალთა ხმებით:** ბაგრატასი, მ. ზევზუტოვისა, და კარია-მდივნისა, ტომაშევიჩი და კავსაძე, ფორზალიევისა და სხვათა. ყველა ჩვენ აპარატს და ფირფიტას აქვს ფაბრიკის მარკა „მწერალი ანგელოზი“, რასაცვთხოვთ ყველას, ყურადღება მიაქციოს.

◀● **ერიდეთ სიყალბეს** ●▶

საქციონერო საზოგადოების „**გ რ ა მ ო ფ ო ნ ი ს**“ ნაწარმოებნი მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ აგრეთვე **გ. ს. დავიდოვთან,** სერგიევის ქ., აზოვ-დონის საკომერციო ბანკის პირდაპირ. (4—6.—4)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.